

დაბრუნება საწყისთან



თითოეულ ჩვენგანში არსებობს მიტოვებული სახლი, ჩვენს მიერ მივიწყებული, რომელშიც ერთ დღეს უნდა დაბრუნდე და იპოვო შენი თავი. ამ სახლში შეიძლება კარებები უკვე მორყეულია, ფანჯრებს მინები აქვს ჩამსხვრეული, იატაკიდან ბალახი ამოსულა, ხის ტოტები კი ცარიელი ფანჯრის ჩარჩოებში გაჩრილან. ეს ჩვენი ფარული სამყაროა, ერთხელ უკვე მიტოვებული ბავშვობაში. ხანდახან დგება მომენტი, როცა ჩვენ ვიწყებთ მცდელობას შევწვიტოთ წინ სიარული და დავბრუნდეთ იმ ადგილას, სადაც ერთხელ უკვე შევხვდით ჩვენს პირველ ტკივილებსა და შიშებს, ჩვენს ნამდვილ, ცოცხალ, ცხოველურ შეგრძნებებს...

მნიშვნელოვანია დაბრუნდე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩვენს პირველ განცდებს შევხვდით, განცდებს, რომელთაგანაც თავის დაღწევას დიდი ხნის განმავლობაში ვვლამობდით, გვეგონა მათ დავიწყებას შევძლებდით, ისინი კი, თურმე ჩვენში ისევ არსებობენ და გავლენას ახდენენ ჩვენს ცხოვრებაზე.

უნდა დაბრუნდე იქ, სადაც ისევ გახდები შიშველი და დაუცველი ბავშვი, სადაც შეწყვეტ სოციალური როლების თამაშს, სადაც გარესამყარო გავლენას ვეღარ მოახდენს შენზე; დაბრუნდე, რათა შეაბიჯო წყვილიადში, რომელსაც გაურბოდი; შეხვიდე ამ წყვილიადში და იპოვო შენი საკუთარი შიში, პირისპირ აღმოჩნდე ამ ურჩხულთან და იცნო იგი; სიღმეში ჩაეშვა შენი ფესვებისაკენ, დადგე საკუთარი შიშის პირისპირ და პირველად არ გაექცე მას; დარჩე მასთან, შეერწყა მას და გაუჩინარდე მასთან ერთად.

ეს არის შეჩების და უკან მოხედვის დრო, როდესაც შენს თავს ჰკითხავ - „ახლა სად ვიმყოფები?“

ეს არის დრო, როცა უბრუნდები საკუთარ ისტორიას, იცნობ და დაიმახსოვრებ მას, გაიგებ და მიიღებ მას, რათა გახდე მისგან თავისუფალი. შეჩერდე და დაუბრუნდე საწყისს!



პროექტის აღწერა

პროექტის მიზანია უჩვეულო ატმოსფეროს შექმნა - შინაგანი სამყარო, სადაც მნახველს, როგორც კი გადაამიჯებს კარის ზღურბლს, შეუძლია მთლიანად ჩაიძიროს მასში. პროექტი მოიცავს სივრცეს, აუდიო-ვიზუალური ინსტალაციით, რომელიც ინტერაქტიულია მაყურებელთან.

ინსტალაცია მოიცავს ნახატებს (ზეთი, ტილო), არტ-ობიექტებს, თავისუფლად განთავსებულს კედლებსა და კედლებს შორის. ინსტალაცია იქნება ერთგვარი ლაბირინთი სივრცეში. სივრცის სხვადასხვა მონაკვეთში რამოდენიმე ხმოვანი არანჟირების მოსმენა იქნება შესაძლებელი. ხმოვანი ტალღებით დაიქსაქსება საინსტალაციო სივრცე. ჟღერადობა მიიზიდავს მნახველს და მისცემს მას საშუალებას გახდეს ამ სივრცის ნაწილი, გარს შემოეხვევა და დაიჭერს მას ისე, როგორც მწერს იჭერს ობობის ქსელი. მუსიკა 6 ხმის გამაძლიერებლიდან გაიჟღერებს, რომლებიც მოთავსდება ოთახის კუთხეებში და/ან კედლებზე. სივრცულ აუდიო-ინსტალაციაში თითოეული ხმის გამაძლიერებელი წარმოდგენილი იქნება საკუთარი ჟღერადობით, რაც ერთობლიობაში შექმნის საერთო ხმოვანებას. თითოეული საუნდსკეიპი ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა, ხანდახან განზრახ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

საერთო საუნდსკეიპის მიზანი გაურკვეველი გარემოს შექმნაა. სხვადასხვა ჟღერადობათა შერევით მიიღწევა ბავშვობის მოგონებებთან დაკავშირებული არეალის წარმოქმნა. აქ შევა მელოდიები (სპეციალურად შექმნილი და ჩაწერილი ამ საუნდსკეიპისათვის), ცხოველებისა და ბუნების ხმები, ჭექა-ქუხილი, სათამაშოების და ამ სათამაშოებით მოთამაშე ბავშვების ხმები, ბუტბუტი...თუმცა მნახველი თავიდანვე ვერ იცნობს ამ სხვადასხვა ხმაურს, შექმნილი ატმოსფეროს მეშვეობით, ისინი თანდათან შემოვლენ მასში.

სივრცე უნდა იყოს, ყველაზე ცოტა 40 კვადრატული მეტრი. არტ-ობიექტებისათვის მასალად გამოიყენება კარებები, კარისა და ფანჯრის ჩარჩოები, კარადის კარებები, შუშა, მინა, ქაღალდი, ქსოვილი, ხის ტოტები.

მაყურებელი აღმოჩნდება გარემოში, სადაც არტ-ობიექტები განლაგებულნი იქნებიან სცენოგრაფიულად. ინსტალაცია წარმოდგენილი იქნება კედლებს შორის. კარებები, რომელთა გაღება და მათში გავლა იქნება შესაძლებელი, დამაგრდება იატაკსა და კედლებზე. ნახატები, ნიღბები, ფანჯრის ჩარჩოები, სარკეები დაიკიდება კედელზე ისე, რომ მაყურებელმა ადვილად შეძლოს მათთან ინტერაქცია. კედლებს შორის გადაიჭიმება თოკი, რომელზეც ჩამოეკიდება სურათები, ქსოვილები ტექსტებითა და გრაფიკული ნახატებით. სულ დაახლოებით ათი ტილო იქნება წარმოდგენილი (ტილოს ზომა საშუალოდ 40X40სმ-დან 150X150სმ-მდე). ინსტალაცია კიდევ უფრო გამდიდრდება სხვადასხვა სურნელით, მაგალითად ისეთი ბუნებრივი მასალებით როგორცაა, დამწვარი ფოთლები, ხის ქერქი, ფისი, მიწა და ა.შ.



პროექტის მონაწილენი

მარია საფრონოვა - დაიბადა მოსკოვში და დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, სპეციალიზაცია - ხელოვნება და გრაფიკა. ის მუშაობდა, როგორც თეატრის მხატვარი და კოსტიუმების დიზაინერი, ასევე ასწავლიდა ხატვას მოსკოვის პედაგოგიურ ცენტრში. ამჟამად ცხოვრობს თბილისში და მოღვაწეობს ნატიფი ხელოვნებისა და ინსტალაციის სფეროში.

მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო მოსკოვის სხვადასხვა გალერეებში, როგორებიცაა: “კინგს გალერი”, “არტ ბაშმაკს გალერი”, “ელადიმირ მედვედევს გალერი”. მარიამ გააკეთა პროექტი “ჩიტები”-ინტერაქტიული ვიდეო ინსტალაცია

ზეთში შესრულებულ ტილოებთან ერთად, რომელიც გაიმართა თანამედროვე ხელოვნების ცენტრ მარსში, “ნოჩ მუზეუვ 2010” –ის ფარგლებში. 2011 წლის დეკემბერში მას ჰქონდა გამოფება, “ფრენის დრო”, თბილისში, გალერეა “ტიფლის ავენიუში”.

მარია ხელოვნების მეშვეობით ანალიზს უკეთებს საკუთარ გამოცდილებას და სიმბოლოებით გადმოსცემს ადამიანის ბუნების სხვადასხვა სახეს.

იგი ცდილობს შექმნას ხატი, სადაც მნახველის შინაგანი სამყარო, მათი დაფარული გრძნობები და მოგონებები აისახება.

ალექსანდრე ჩინჩალაძე - ტეტე დაიბადა თბილისში. ის მუსიკოსია, რომელიც მუდმივად ექსპერიმენტობს ხმასა და მუსიკაში. წლების განმავლობაში ის უკრავდა სხვადასხვა ჯგუფში და რამდენიმე თავადაც ჩამოაყალიბა, რომელთაგან ბოლო დუეტი Me And My Monkey (MAMM) 2008 წელს დაარსების შემდეგ, წარმატებით ატარებს კონცერტებს და ასევე მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 2012 წელს ტრეკი „The Mind of Many“ გერმანულმა ლეიბლმა „UKW records“-მა გამოუშვა. იმავე წელს MAMM ქართული თანამედროვე მუსიკალური ფესტივალის „ალტერვიზიის“ გამარჯვებულად დასახელდა. ალექსანდრე ჩინჩალაძე თანამშრომლობს უცხოელ თუ ქართველ არტისტებთან და ლეიბლებთან როგორც სოლო მუსიკოკი და ჯუფის ფრონტმენი. 2011 წელს მისი ახალი პროექტის "TéTé"-ს კომპოზიციები „Wellatrive Records“-ის მიერ ვინილებზე ჩაიწერა საფრანგეთში, ხოლო 2012 წელს მექსიკურმა ლეიბლმა „Mýrdal records“-მა გამოუშვა კასეტებზე.



პროექტი იქნება წარმოდგენილი შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის სივრცეში, თბილისის თანამედროვე ხელოვნების V საერთაშორისო გამოფენის “არტისტერიუმის V”-ს ფარგლებში, 2012 წლის 5-17 ოქტომბერს